



## ანტი-კორუფციული რეგულაცია

### მსოფლიო რაგბის მე-6 რეგულაციის (Anti-corruption and Betting) მიხედვით.

#### 1.1 შესავალი და მოქმედების სფერო.

1.1.1 მსოფლიო რაგბი საკუთარი ძალაუფლების ფარგლებში, მიმართავს ყველა ღონეს რათა დაიცვას სპორტული შეჯიბრების ფუნდამენტური ღირებულება როგორცაა უნარებისა და შესაძლებლობების პატიოსანი შეფასება და არ დაუშვას ბინძური გარიგებებისა და ფსონების დადებით თამაშის პატიოსნებისა და რეპუტაციის შელახვა. წინამდებარე რეგულაცია ადგენს წესების კრებულს და სანქციების შეფარდების სქემას ნებისმიერი დონის პროფესიონალი მოთამაშეებისათვის და წარმოადგენს სახელმძღვანელოს მსოფლიო რაგბის წევრი რაგბის კავშირებისათვის შესაბამისი საშინაო რეგულაციების დადგენისთვის.

1.1.2 მსოფლიო რაგბი აცნობიერებს, რომ ანტი-კორუფციული რეგულაციების ეფექტური განხორციელებისათვის განათლება და ინფორმაციის გაცვლა წარმოადგენს უმთავრეს ელემენტს და ამ მიზნით მსოფლიო რაგბმა და ყველა მისმა წევრმა რაგბის კავშირებმა, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან თამაშთან დაკავშირებული ანტი-კორუფციული და აკრძალული ფსონის შესახებ რეგულაციის განხორციელების და მონიტორინგის პროგრამების შემუშავებაზე.

1.1.3 მსოფლიო რაგბის მიერ ანტი-კორუფციული რეგულაციების განხორციელება მიზნად ისახავს თამაშში შედეგი ფუნდამენტალური ვალდებულებების აღიარებას:

ა) ყველა მატჩი უნდა გაიმართოს თანაბარი და სამართლიანი პრინციპების დაცვით და შედეგი დამოკიდებული უნდა იყოს მხოლოდ მოასპარეზე მოთამაშეებისა და მათი დამხმარე პერსონალის უნარებსა და დამსახურებაზე.

ბ) საზოგადოების რწმენა სპორტული შეჯიბრების სამართლიანობაში პირველხარისხოვანია და მისი შეზღავანა სერიოზულად დააზიანებს თამაშს.

გ) ტექნოლოგიებმა, პოპულარობამ, მატჩების რაოდენობამ და ფორმამ საგრძნობლად გაზარდა აზარტული ფსონების დადების რიცხვი. აზარტული ფსონების მოყვარულებს შესაძლებლობა აქვთ დადონ ფსონები დისტანციურად მატჩის ადგილიდან ტელეფონის, ინტერნეტ საიტების მეშვეობით მატჩის მიმდინარეობისას, ყოველივე ეს უზრდის შესაძლებლობებს თამაშთან კავშირში არ მყოფ უცხო პირებს, შეეცადონ გაურიგდნენ თამაშში ჩართულ პიროვნებებს სარგებელის მიღების მიზნით.

დ) ბუნებრივია, რომ ასეთი ტიპის არამართებულ ქცევაში ჩართული პირები ყველანაირად ცდილობენ დამალონ თავიანთი ქმედებები რის გამოც მსოფლიო რაგბი და მისი წევრი კავშირები მოითხოვენ უფლებას მოიპოვონ ინფორმაცია და ჩანაწერები თამაშში ელიტარულ დონეზე ჩართული პიროვნებებისაგან და გარემოებებიდან გამომდინარე გაცვალონ მოპოვებული ინფორმაცია შესაბამისი კომპეტენციის ორგანოებთან.

ე) პიროვნებები რომლებიც არიან ან სურვილი აქვთ იყვნენ ჩართულნი თამაშში, პასუხისმგებელნი არიან გაითავისონ და ხელი შეუწყონ ანტი-კორუფციული რეგულაციების ქმედითობას, თამაშის რეპუტაციის შელახვისგან დაცვის მიზნით.

ვ) წინამდებარე ანტი-კორუფციული რეგულაციები ასახავენ ოლიმპიური მოძრაობის კოდექსს აღიკვეთოს შეჯიბრების მანიპულირება როგორც აუცილებლობა მოითხოვს თამაშის კონტექსტიდან გამომდინარე.

1.1.4 ყველა თამაშთან კავშირში მყოფი პიროვნება, ვალდებულია დაიცვას და უზრუნველყოს ანტი-კორუფციული რეგულაციების განხორციელება და თავისი მონაწილეობით თამაშში ეთანხმებინ პირობებს:



ა) დაიცვას და გაითავისოს ამ რეგულაციით განსაზღვრული ყველა პირობა, ინფორმაცია მიაწოდოს მასთან შემხებლობაში მყოფ ყველა პირს ( ოჯახის წევრების ჩათვლით), ამ რეგულაციის წესებისა და მოქმედების სფეროს შესახებ.

ბ) დაემორჩილოს და დაეხმაროს მსოფლიო რაგბის და მის წევრ კავშირებს ანტი-კორუფციული რეგულაციების დაცვასა და განხორციელებაში.

გ) დაემორჩილოს და აღიაროს მსოფლიო რაგბის და/ან მისი წევრი კავშირების მიერ, ანტი-კორუფციული საქმეების განსახილველად დანიშნული სადისციპლინო და/ან სააპელაციო კომისიების ექსკლუზიური უფლებამოსილება.

დ) არ მიმართოს და აღძრას საქმე მსოფლიო რაგბის და/ან მისი წევრი კავშირების მიერ ანტი-კორუფციული საქმეების განსახილველად დანიშნული პერსონალის გარდა ამ რეგულაციის იურისდიქციის მიღმა მყოფ სხვა სამართლებრივ და/ან დავების განმხილველ ორგანოებში.

**1.1.5** ამ რეგულაციით განსაზღვრული „დაკავშირებული პიროვნება“ ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში წერილობით მიაწოდოს მსოფლიო რაგბს და/ან მის წევრ კავშირებს, ანტი-კორუფციული და/ან ამ რეგულაციით განსაზღვრულ სხვა დარღვევებთან რელევანტური ინფორმაცია (საკუთარი პირადი ინფორმაციის ჩათვლით), საკუთარი აქტივობების შესახებ.

**1.1.6** პიროვნება, ამ რეგულაციით განსაზღვრული „დაკავშირებული პიროვნების“ სტატუსის შეწყვეტის შემდეგ, ვალდებულია დაიცვას წინამდებარე რეგულაციის პირობები 6(ექვსი) თვის განმავლობაში.

**1.1.7** წინამდებარე რეგულაციით აკრძალული ქმედებები, შეიძლება იყოს სისხლის სამართლებრივი და/ან სხვა მოქმედი კანონების დარღვევა გარკვეული იურისდიქციის გავრცელების სფეროში. მსოფლიო რაგბი და მისი წევრი კავშირები აცნობიერებენ, რომ წინამდებარე რეგულაციის ეფექტურად აღსრულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობას ისეთ სამართალდამცავ ორგანოებთან, რომლებიც უფლებამოსილნი არიან სპორტულ თამაშებზე დადებული ფსონების მართლზომიერების შეფასებაში.

## 1.2 ტერმინთა განმარტება

- **ანტი-კორუფციული დარღვევა** - ამ რეგულაციით განსაზღვრული ნებისმიერი დარღვევა. ანტი-კორუფციული დარღვევა კონსტატირდება როგორც არამართებული ქცევა.
- **ანტი-კორუფციული ოფიცერი** - მსოფლიო რაგბის ან მისი წევრი კავშირების მიერ დროდადრო დანიშნული ოფიციალური პირი, რომელიც უფლებამოსილია გამოარკვიოს წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული დარღვევები.
- **მცდელობა** - ქმედება და/ან უმოქმედობა რომელსაც შეუძლია შექმნას წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული დარღვევების სრულად ან ნაწილობრივ ჩადენის საფუძველი, მიუხედავად იმისა, იცოდნენ თუ არა, ასეთ საქციელში ჩართულმა პირებმა, რომ მათი ქმედება და/ან უმოქმედობა შეფასდებოდა როგორც წინამდებარე რეგულაციის დარღვევა.
- **სარგებელი** - ნებისმიერი პირდაპირი და/ან ირიბი ფულადი და/ან არაფულადი ქრთამი, სარგებელი, საჩუქარი, და/ან უპირატესობის მოპოვება, მოგება და/ან პოტენციური მოგების წინაპირობა ფსონის დადების საფუძველზე, და/ან სპორტული მოგება/უპირატესობის მოპოვება, რომელიც განაპირობებს ან აქვს პოტენციური შელახოს თმაშის რეპუტაცია.
- **ფსონი** - მატერიალური და/ან არამატერიალური სარგებელის მიზნით, მომავალში გასამართ მოვლენაზე და/ან მის რომელიმე ასპექტზე, მატერიალური და/ან არამატერიალური ავანსის დადება, მიღება და/ან ნებისმიერი ფორმით სანამდლოეს დადება.
- **აკრძალული ფსონი** - წინამდებარე რეგულაციის 1.3.1 პუნქტში განსაზღვრული წესების საპირისპირო ქმედება.



- **დაკავშირებული პიროვნება** - დაკავშირებულ ღონისძიებასთან ნებისმიერი დონეზე კავშირის მქონე და/ან ჩართული პიროვნება, ეროვნული ნაკრებ(ებ)ის და/ან ნებისმიერი პროფესიონალი რაგბის მოთამაშე და მისი დამხმარე პერსონალი, მატჩის ოფიციალური პირი, მწვრთნელი, ფიზიოთერაპევტი, ექიმი, ანალიტიკოსი, სელექციონერი, აგენტი, მსოფლიო რაგბის და/ან მისი წევრი ასოციაციებისა და კავშირების მიერ დროებით დაქირავებული და/ან ნებისმიერ დონეზე მომუშავე პირები, სადისციპლინო პერსონალი, მსაჯები, მეთვალყურეები, ჩამოთვლილი პირების ოჯახის წევრები (იმ ხარისხით, რომლითაც ოჯახის წევრს/პარტნიორს ეხება მსოფლიო რაგბის და/ან მისი წევრი ასოციაციების და/ან კავშირების და/ან კლუბების იურისდიქცია) და/ან სხვა ნებისმიერი თამაშთან კავშირში მყოფი უფლებამოსილი პირი, პროფესიონალი მოთამაშების მონაწილეობით გამართული მატჩის ად/ან მატჩების სერიის და/ან ტურნირის ორგანიზატორი, კომერციული პარტნიორი და/ან პრომოუტერი.
- **დაკავშირებული ღონისძიება** - საერთაშორისო და/ან პროფესიონალური დონის, მატჩი და/ან მატჩების სერია და/ან ტურნირი რომელშიც პირდაპირ და/ან ირიბად ჩართულია დაკავშირებული პიროვნება.
- **გარიგება** - დაკავშირებული ღონისძიების შედეგზე და/ან მის ნებისმიერ ასპექტზე გარიგება, ნებისმიერი დონის არამართებული ზეგავლენის მოხდენა და/ან მცდელობა, რომელიმე და/ან რამოდენიმე მხარის მიერ სარგებელის მიღების მიზნით.
- **შიდა ინფორმაცია** - დაკავშირებულ ღონისძიებაში ჩართული მხარეების ნებისმიერი შიდა, არასაჯარო ინფორმაცია: მოთამაშ(ებ)ის მომზადების დონე, თამაშის ტაქტიკა და/ან სტრატეგია, სელექცია, ტრავმა და/ან სხვა ინფორმაცია რომელმაც შეიძლება იმოქმედოს დაკავშირებული ღონისძიების შედეგზე და/ან შეუძლია სარგებელი მოუტანოს დაკავშირებულ პიროვნებებს და/ან გახდეს მესამე პირების მიერ ფონის დადების საფუძველი.

### 1.3 ანტი-კორუფციული დარღვევები.

დაკავშირებული პიროვნება ითვლება ანტი-კორუფციული რეგულაციების დამრღვევად თუ ის ჩართულია ან მცდელობა აქვს ჩაერთოს ქცევაში რომელიც აღწერილია ამ რეგულაციის 1.3.1-დან 1.3.4-ის ჩათვლით პუნქტებში და/ან მისი ქმედება იწვევს წინამდებარე რეგულაციის მოთხოვნებით განსაზღვრულ სხვა ნებისმიერ დარღვევას. შესაბამისად, ასეთი ქმედების ფაქტის დადგენა, რომ დაკავშირებული პირის ჩანაფიქრი, ბრალი, გულგრილობა და/ან შეგნებული ქმედება შეფასდეს როგორც ანტი-კორუფციული რეგულაციის დარღვევა, აღარ საჭიროებს მტკიცებას.

#### 1.3.1 აკრძალული ფსონის დადება.

ა) დაკავშირებულ პიროვნებას ეკრძალება : პირდაპირ ან ირიბად დადოს ფსონი ან ქონდეს მცდელობა ფსონის დადების, ნებისმიერი დაკავშირებული ღონისძიების შედეგზე ან მის ნებისმიერ ასპექტზე, მიიღოს ან ეცადოს რომ მიიღოს სრული ან ნაწილობრივი ფსონის დადებიდან გამომდინარე სარგებელი.

ბ) დაკავშირებულ პიროვნებას ეკრძალება : სარგებელის მიღების მიზნით, პირდაპირ ან ირიბად, ეცადოს წაახალისოს, დაარწმუნოს, ხელი შეუწყოს, წააქეზოს, ნებისმიერი მხარე, დაკავშირებულ ღონისძიების შედეგზე ან მის ნებისმიერ ასპექტზე ფსონის დადებაზე.

#### 1.3.2 გარიგება.

დაკავშირებულ პიროვნებას ეკრძალება :

ა) გარიგდეს და/ან ეცადოს რომ გარიგდეს;

ბ) პირდაპირ ან ირიბად, ეცადოს წაახალისოს, დაარწმუნოს, ხელი შეუწყოს, წააქეზოს, ნებისმიერი მხარე, სარგებელის მიღების მიზნით გარიგდეს და/ან მცდელობა ჰქონდეს გარიგდეს, დაკავშირებულ ღონისძიების შედეგზე ან მის ნებისმიერ ასპექტზე.



გ) უკვე შემდგარ და/ან მომავალში დაგეგმილ დაკავშირებულ ღონისძიებაზე და/ან მის ნებისმიერ ასპექტში, არასრულფასოვნად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, სარგებელის მიღების მიხნით.

დ) პირდაპირ ან ირიბად, ეცადოს წახალისოს, დაარწმუნოს, ხელი შეუწყოს, წააქეზოს, ნებისმიერი მხარე, უკვე შემდგარ და/ან მომავალში დაგეგმილ დაკავშირებულ ღონისძიებაზე და/ან მის ნებისმიერ ასპექტში, არასრულფასოვნად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, სარგებელის მიღების მიხნით.

### 1.3.3 შიდა ინფორმაციის გამჟღავნება.

დაკავშირებულ პიროვნებას ეკრძალება :

ა) გამოიყენოს შიდა ინფორმაცია, პირადად და/ან სხვა, მესამე ფიზიკური და/ან იურიდიული პირის გამოყენებით, ფსონის დადებისთვის.

ბ) სარგებელის მიღების ან მიღების გარეშე, გაუმჟღავნოს შიდა ინფორმაცია ნებისმიერ პირს, დაკავშირებულ ღონისძიებამდე და/ან მის მიმდინარეობისას, როდესაც მან იცოდა და/ან მისი სტატუსიდან გამომდინარე უნდა სცოდნოდა, რომ ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება გახდებოდა ფსონის დადების საფუძველი.

გ) გასცეს და/ან მიიღოს სარგებელი შიდა ინფორმაციის გამჟღავნებით. (მიუხედავად იმისა, მიწოდებული იქნა თუ არა სინამდვილეში შიდა ინფორმაცია).

დ) პირდაპირ ან ირიბად, ეცადოს წახალისოს, დაარწმუნოს, ხელი შეუწყოს, წააქეზოს, ნებისმიერი მხარე, გასცეს და/ან მიიღოს სარგებელი შიდა ინფორმაციის გამჟღავნებით. (მიუხედავად იმისა, მიწოდებული იქნა თუ არა სინამდვილეში შიდა ინფორმაცია).

ე) პირდაპირ ან ირიბად, ეცადოს წახალისოს, დაარწმუნოს, ხელი შეუწყოს, წააქეზოს, ნებისმიერი მხარე,

**1.3.3 პუნქტის ზემოთჩამოთვლილი პირობების დარღვევაში.**

### 1.3.4 ზოგადი კორუფციული დარღვევები

დაკავშირებულმა პიროვნებამ პირდაპირ ან ირიბად, არ უნდა (და/ან არ უნდა ჰქონდეს მცდელობა, რომ) :

ა) თხოვოს, შესთავაზოს, შეაცდინოს, დაარიგოს, დაარწმუნოს და/ან წახალისოს და/ან ხელი შეუწყოს სარგებელის შეთავაზებას და/ან მიღებას, დაკავშირებულ ღონისძიებასთან მიმართებაში, როდესაც მან იცოდა და/ან მისი სტატუსიდან გამომდინარე უნდა სცოდნოდა, რომ ასეთ ქმედებას შეუძლია ზიანი მიაყენოს დაკავშირებულ პიროვნებას და/ან თამაშს და შელახოს მათი რეპუტაცია.

ბ) ხელი შეუშალოს და/ან შეაყოვნოს წინამდებარე რეგულაციების დარღვევების გამოძიება, დამალოს, გაანადგუროს ან გააყალბოს წინამდებარე რეგულაციების დარღვევებთან, ფაქტიური და/ან პოტენციური კავშირის მქონე ნებისმიერი დოკუმენტი და/ან მტკიცებულება.



### 1.3.5 დაკავშირებული პიროვნების ვალდებულება.

ყველა დაკავშირებული პიროვნება ვალდებულია:

- ა) თუ მას შესთავაზეს ან მისთვის გახდა ცნობილი სხვა დაკავშირებული პიროვნების მიერ, წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული ნებისმიერი დარღვევის და/ან დარღვევის მცდელობის ფაქტის შესახებ, რაც შეიძლება დროულად მიაწოდოს მის ხელთ არსებული ყველა პირდაპირი ან ირიბი მტკიცებულება, ანტი-კორუფციულ ოფიცერს და/ან სადისციპლინო ტრიბუნალს.
- ბ) ამ რეგულაციის 1.3.5 ა) პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაკავშირებული პიროვნების ეს ქმედება ჩაითვლება ანტი-კორუფციულ დარღვევად.
- გ) ანტი-კორუფციული ოფიცერის და/ან სადისციპლინო/სააპელაციო კომისიის მოთხოვნისას, დაყოვნების გარეშე მიაწოდოს მათ ყველა მის ხელთ არსებული და ხელმისაწვდომი ინფორმაცია, დოკუმენტაცია და ამ რეგულაციით განსაზღვრულ დარღვევებთან კავშირის მქონე ნებისმიერი მასალები, მათ შორის: მისი პირადი საკომუნიკაციო მოწყობილობების ჩანაწერები, საბანკო ტრანზაქციების ამონაწერი, მისი ელექტრონული ფოსტის და ინტერნეტ-სოციალური ქსელების მიმოწერა, ამ რეგულაციით განსაზღვრულ დარღვევებთან კავშირის მქონე ნებისმიერი ჩანაწერი მის მობილურ ტელეფონში და/ან პერსონალური კომპიუტერის მყარ დისკზე და/ან ნებისმიერ ინფორმაციის შემნახველ მოწყობილობაზე და/ან პერსონალურ ინტერნეტ სივრცეში.
- დ) უზრუნველყოს და ეცადოს, რომ არ დაუშვას, არსებული უფლებების ფარგლებში, ოჯახის წევრების/პარტნიორების მხრიდან წარმოებული ანტი-კორუფციული საქმის დეტალების გასაჯაროება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას მოითხოვს წინამდებარე ანტი-კორუფციული რეგულაცია და/ან სხვა არსებული რელევანტური სამართლებრივი კანონი და/ან განკარგულება.
- ე) მსოფლიო რაგბს უფლება აქვს გამოსცეს განკარგულება, რომელიც კრძალავს და/ან ზღუდავს მობილური კავშირის მოწყობილობების გამოყენებას საერთაშორისო მატჩის დღეს, განსაზღვრული კატეგორიის დაკავშირებული პიროვნებებისთვის. ამ შემთხვევაში მსოფლიო რაგბმა წინასწარ უნდა გაიაროს კონსულტაციები მატჩის მასპინძელ/ორგანიზატორ კავშირთან, ასეთი განკარგულების ლოჯისტიკის და მონიტორინგის განსახორციელებლად.

**1.3.6** ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებებს არ აქვთ კავშირი განსაზღვრებასთან, იყო თუ არა ჩადენილი ანტი-კორუფციული დარღვევა, თუმცაღა მაინც შეიძლება გახდნენ წინამდებარე რეგულაციით განსაზღვრული სანქციების საგანი.

- ა) უშუალოდ მონაწილეობდა თუ არა, სავარაუდო ანტი-კორუფციული დარღვევის ჩამდენი დაკავშირებული პიროვნება, კონკრეტულ ღონისძიებაში.
- ბ) ღონისძიების (და/ან მისი რომელიმე ასპექტის) შედეგი, რაზეც იქნა დადებული და/ან იყო ფსონის დადების მცდელობა.
- გ) მიუხედავად იმისა, იქნა თუ არა გაცემული ან მიღებული რაიმე სარგებელი.
- დ) აკრძალული ფსონის თავისებურება და/ან შედეგი.
- ე) დაკავშირებული პიროვნების დაუდევარი და/ან გულგრილი დამოკიდებულება მოვალეობებისადმი დაკავშირებულ ღონისძიებასთან და/ან მის რომელიმე ასპექტთან მიმართებაში.





- ვ) მოახდინა თუ არა, დაკავშირებული პიროვნების ქმედებამ და/ან უმოქმედობამ რაიმე ეფექტი განსახილველ საკითხზე.
- ზ) მოახდინა თუ არა, დაკავშირებული პიროვნების ქმედებამ და/ან უმოქმედობამ რაიმე ეფექტი ღონისძიებაზე და/ან მის რომელიმე ასპექტზე.
- თ) არღვევს თუ არა დაკავშირებული პიროვნების მანიპულაცია, მსოფლიო რაგბის და/ან კონკრეტული, ღონისძიებასთან კავშირში მყოფი, რაგბის კავშირის რომელიმე ტექნიკურ წესს და/ან რეგულაციას.

**1.3.7** ნებისმიერი დამტკიცებული ქმედება და/ან უმოქმედობა რომელმაც ხელი შეუწყო, წააქეზა ან იყო ანტი-კორუფციული რეგულაციის დარღვევის მცდელობა, განიხილება როგორც ჩადენილი, მიუხედავად იმისა გამოიწვია თუ არა მან საბოლოო ჯამში ანტი-კორუფციული რეგულაციის დარღვევა.

**1.3.8** დაკავშირებული პიროვნების მიერ „1.3.5 ა)“ პუნქტის შესაბამისად დაუყოვნებლივი მომართვა, ფასდება როგორც ანტი-კორუფციული დარღვევის ბრალდების ვალიდური კონტრარგუმენტი და/ან მიუთითებს, რომ ასეთი ქმედება განპირობებული იყო, დაკავშირებული ან სხვა პიროვნების, სიცოცხლის და/ან უსაფრთხოების ხელყოფის მუქარის შედეგად.

#### **1.4 კავშირთა პასუხისმგებლობა.**

**1.4.1** წინამდებარე ანტი-კორუფციული რეგულაცია სავალდებულოა მსოფლიო რაგბის წევრი ყველა კავშირებისათვის და მათი წევრი სუბიექტებისათვის. ისინი მოვალენი არიან:

- ა) შემდგომი დაგვარად უმოკლეს დროში მიაწოდონ ანტი-კორუფციულ ოფიცერს, ამ რეგულაციით განსაზღვრული, საქმის წარმოებისთვის საჭირო ყველა მასალა და ყველანაირად ხელი შეუწყონ ამ რეგულაციით განსაზღვრული დარღვევების განმხილველ ყველა ოფიციალურ პირ(ებ)ს თავიანთი მოვალეობების შესრულებაში.
- ბ) უზრუნველყონ ამ რეგულაციის გატარება მათ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე. წინამდებარე რეგულაცია არ უკრძალავს მსოფლიო რაგბის წევრ კავშირებს, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში დააწესონ უფრო მკაცრი რეგულაციები, ადგილობრივი კანონმდებლობის გათვალისწინებით.
- გ) მოიპოვონ დაკავშირებული პიროვნებებისგან წერილობითი აღიარება, მათი ანტი-კორუფციულ რეგულაციასთან კავშირის, პირობების შესრულებისა და დაცვის შესახებ.
- დ) შემოიღონ ისეთი წესები და პროცედურები, რომლის თანახმად ყველა დაკავშირებული პიროვნება თანახმა იქნება მიაწოდოს, ამ რეგულაციით განსაზღვრული, თავისი პირადი მონაცემები და ინფორმაცია ანტი-კორუფციული დარღვევის საქმის მწარმოებელ ყველა ოფიციალურ პირ(ებ)ს.
- ე) მსოფლიო რაგბის წევრი კავშირი ვალდებულია საკუთარი იურისდიქციის ქვეშ მყოფ სუბიექტებს და რაგბთან ხელშეკრულებით დაკავშირებულ ყველა პიროვნებას, გააცნოს წინამდებარე რეგულაცია და მოთხოვოს მისი პირობების შესრულება. მსოფლიო რაგბის წევრი კავშირმა უნდა ითანამშრომლოს მსოფლიო რაგბის მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამებში ანტი-კორუფციული რეგულაციების შემოღებასა და მათ გატარებაში საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში.
- ვ) წინამდებარე რეგულაციის სათანადოდ აღსრულების მიზნით, მსოფლიო რაგბის წევრმა კავშირმა უნდა დაამყაროს ურთიერთობები შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებთან.



1.5 სრკ და მსოფლიო რაგბის №6 (ანტი-კორუფციული) რეგულაცია.

1.5.1 სრკ, როგორც მსოფლიო რაგბის წევრი რაგბის კავშირი, იღებს ვალდებულებას წინამდებარე რეგულაციის გავრცელებაზე მისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე და გამოთქვამს მზადყოფნას სრულფასოვნად ითანამშრომლოს მსოფლიო რაგბთან ამ რეგულაციით განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტაში.

1.5.2 მსოფლიო რაგბის ანტი-კორუფციული რეგულაციის მოთხოვნების დარღვევა ფასდება როგორც „არამართებული ქცევა“ და იწვევს სათანადო რეაგირებას სრკ-ს სადისციპლინო ტრიბუნალის მხრიდან.

1.5.3 მსოფლიო რაგბის რეკომენდირებული სანქციები ანტი-კორუფციული რეგულაციების დაღვევისას :

დარღვევა	სანქციები	დამატებითი სანქციები
<p><b>აკრძალული ფსონი (REG. 6.3.1)</b></p>	<p>მინიმუმი: შენიშვნა და/ან გაფრთხილება დაკავშირებულ ღონისძიებაზე აკრძალული ფსონის დადების მცდელობაზე ; ან პირდაპირი და/ან ირიბი ფსონ(ებ)ის დადებისას დაკავშირებულ ღონისძიებაზე, ნ-თვე რაგბთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვა.</p>	<p>და (ყველა შემთხვევაში) სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია დააკისროს შესაბამისი ოდენობის ფულადი ჯარიმა დაკავშირებულ პიროვნებას, დარღვევის დამდგარი ან შესაძლებელი შედეგიდან გამომდინარე; და (ყველა შემთხვევაში) შესაბამისი დამატებითი სანქციები, როგორცაა(და არ არის ლიმიტირებული) : სპორტული შედეგების ან ღონისძიებების გაუქმება; დაქვეითება; ქულების დაკლება;</p>



	<p>მაქსიმუმი:          5-წელი რაგბთან          დაკავშირებული ნებისმიერი          საქმიანობის აკრძალვა.</p>	<p>მატჩ(ებ)ის გადათამაშება          (მატჩის ოფიციალური პირების          მიერ ანტი-კორუფციული          რეგულაციების დაღვევისას);          აკრედიტაციის გაუქმება და სხვა          შესაბამისი სანქციები.</p>
<p><b>გარიგება          (REG.6.3.2)</b></p>	<p>მინიმუმი:          3-წელი რაგბთან          დაკავშირებული ნებისმიერი          საქმიანობის აკრძალვა.          მაქსიმუმი:          სამუდამოდ რაგბთან          დაკავშირებული ნებისმიერი          საქმიანობის აკრძალვა.</p>	
<p><b>შიდა ინფორმაციის          განმჟღავნება          (REG.6.3.3)</b></p>	<p>მინიმუმი:          შენიშვნა და/ან          გაფრთხილება, როდესაც          დაკავშირებულმა          პიროვნებამ არ იცოდა, რომ          შიდა ინფორმაცია          გამოყენებული იქნებოდა          ფსონის დასადებად;          ან          6-თვე რაგბთან          დაკავშირებული ნებისმიერი          საქმიანობის აკრძალვა,          როდესაც დაკავშირებულმა          პიროვნებამ იცოდა, რომ          შიდა ინფორმაცია          გამოყენებული იქნებოდა          ფსონის დასადებად;</p> <p>მაქსიმუმი :</p>	





	<p>(i) 3-წელი რაგბთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვა, როდესაც არ იქნა მოთხოვნილი, შეთავაზებული ან გაცემული რაიმე სარგებელი დაკავშირებული პიროვნებისგან ან პიროვნებისთვის, პირდაპირ ან ირიბად; ან</p> <p>(ii) 7-წელი რაგბთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვა, როდესაც იქნა მოთხოვნილი, შეთავაზებული ან გაცემული რაიმე სარგებელი დაკავშირებული პიროვნებისგან ან პიროვნებისთვის, პირდაპირ ან ირიბად;</p>	
<p><b>ზოგადი კორუფციული დაღვევა (REG.6.3.4)</b></p>	<p>მინიმუმი: შენიშვნა და/ან გაფრთხილება</p> <p>მაქსიმუმი: 5-წელი რაგბთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვა;</p>	